დამტკიცებულია აქტუარებისა და
ფინანსური ანალიტიკოსების ასოციაციის
საერთო კრების მიერ 2022 წლის 5 ივლისს

აქტუარებისა და ფინანსური ანალიტიკოსების ასოციაცია

აქტუარების პროფესიული ეთიკის კოდექსი

1. პ რ ე ა მ ბ უ ლ ა

1.1. წინამდებარე პროფესიული ეთიკის კოდექსი შემუშავებულია „საქართველოს აქტუარებისა და ფინანსური ანალიტიკოსების ასოციაციის“ (შემდგომში აფაა) მიერ და წარმოადგენს აფაა-ს მიერ აკრედიტირებული აქტუარების (შემდგომში აქტუარი) ეთიკური ქცევის სახელმძღვანელოს;

1.2. წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს საყრდენს აქტუარის პროფესიულ საქმიანობაში და მიზნად ისახავს დაეხმაროს აქტუარს საქმიანობის პროცესში სწორი გადაწყვეტილებების მიღებაში, საკუთარი უფლებებისა და ვალდებულებების გარკვევაში და დაცვაში;

1.3. აქტუართა პროფესიული ეთიკის კოდექსის მიზანია განსაზღვროს პროფესიული ეთიკის ნორმების შესაბამისი ქცევის წესები და დაამკვიდროს აქტუარის ვალდებულება შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, პატივი სცეს თავის საქმიანობას და იზრუნოს აქტუარის პროფესიისადმი მაღალი ნდობის მოპოვებისთვის.

1.4. ყველა აქტუარი, რომელიც ეწევა პროფესიულ საქმიანობას ვალდებულია იცნობდეს წინამდებარე კოდექსს და განუხრელად დაიცვას მასში ჩამოყალიბებული ეთიკური ქცევის ნორმები;

2. პროფესიული ღირსება

2.1. პროფესიული მოვალების შესრულებისას აქტუარი ვალდებულია ღირსეულად წარმოაჩინოს საკუთარი პროფესია. დაუშვებელია აქტუარის მონაწილეობა ისეთ საქმიანობასა და გარიგებებში, რომლებიც ჩრდილს მიაყენებს პირადად მას, მის კოლეგებს, ზოგადად აქტუარის პროფესიას, ან გამოიწვევს აქტუარის პროფესიისადმი ნდობის შემცირებას;

2.2. აქტუარი ვალდებულია მოქმედებდეს კეთილსინდისიერად და ცდილობდეს თავიდან აარიდოს დამკვეთს (დამქირავებელს) უარყოფითი შედეგები, რომელიც შეიძლება დადგეს მისთვის ცნობილი გარემოებების გამო. ასეთ შემთხვევებში ის მოვალეა მისცეს არგუმენტირებული ახსნა-განმარტება დამკვეთის(დამქირავებლის) წარმომადგენელს, რომელიც უფლებამოსილია რეაგირება მოახდინოს ასეთ ფაქტებზე;

3. პროფესიონალიზმი

3.1. აქტუარი ვალდებულია მუდმივად ზრუნავდეს პროფესიულ განვითარებაზე და იმ ცოდნისა და უნარ-ჩვევების გაღრმავებაზე, რომელიც აუცილებელია მისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისათვის;

3.2. აქტუარი ვალდებულია უარი თქვას სამუშაოს შესრულებაზე, თუ მისი ცოდნა ან პროფესიული გამოცდილება არ იძლევა დამკვეთის მიერ შეთავაზებული საქმიანობის (დაკვეთის) ხარისხიანად შესრულების საშუალებას. ასეთ შემთხვევაში იგი უფლებამოსილია შესთავაზოს დამკვეთს სხვა კვალიფიციური პირის მომსახურება,

მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი დარწმუნებულია რეკომენდირებული კოლეგის კომპეტენციაში;

3.3. კონკრეტული დაკვეთის შესრულებისას, აქტუარი ვალდებულია განიხილოს სამუშაოს შესრულების ალტერნატიული მეთოდები (ასეთი ალტერნატივების არსებობის შემთხვევაში) და დაასაბუთოს იმ მეთოდის გამოყენების მიზანშეწონილობა, რომელსაც თავად ანიჭებს უპირატესობას;

3.4. შესრულებული სამუშაოს შედეგების სიზუსტეში ეჭვის არსებობის შემთხვევაში, აქტუარი ვალდებულია გადაამოწმოს ჩატარებული სამუშაოს ხარისხი მის ხელთ არსებული ყველა კანონიერი საშუალებით, სხვა აქტუარებთან კონსულტაციების ჩათვლით და მხოლოდ ამის შემდეგ გადასცეს დამკვეთს შესრულებული სამუშაოს შედეგები.

4. გამჭვირვალობა

4.1. აქტუარი ვალდებულია შესრულებულ ნაშრომში ნათლად ასახოს ის მასალები, დაშვებები და მეთოდები, რომლებიც გამოიყენა კონკრეტული საქმიანობისას;

4.2. დამკვეთისათვის შესრულებული სამუშაოს წარდგენისას, აქტუარი ვალდებულია გაამახვილოს ყურადღება მისთვის ცნობილ პოტენციურ საფრთხეებზე ან ნებისმიერ სხვა შესაძლო საფრთხეზე, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს სხვადასხვა მიზეზით, როგორებიცაა: დაშვებებში ზედმეტი სითამამე, სტატისტიკური ინფორმაციის შესაძლო საეჭვობა, ბაზრის არაპროგნოზირებადი ცვლილება და სხვა, რომლებმაც შესაძლებელია ფინანსური ზიანი მიაყენოს დამკვეთის საქმიანობას;

4.3. აქტუარი ვალდებულია ყოველი ღონე იხმაროს, რათა უზრუნველყოფილი იყოს დამკვეთის საქმიანობის იმ ნაწილის გამჭვირვალობა, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული მის მიერ შესრულებულ სამუშაოსთან, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს ეწინააღმდეგება დამკვეთის ინტერესებს;

5. ინტერესთა კონფლიქტი

5.1. აქტუარი ვალდებულია გამოიყენოს მის ხელთ არსებული ყველა საშუალება, რათა თავიდან აიცილოს ინტერესთა კონფლიქტი პროფესიული საქმიანობის პროცესში;

5.2. იმ შემთხვევაში, თუ აქტუარისთვის ცნობილი გახდა ინტერესთა კონფლიქტის ან ისეთი გარემოებების არსებობის შესახებ, რომლებმაც მომავალში შეიძლება გამოიწვიოს ინტერესთა კონფლიქტი, იგი ვალდებულია ღიად განუცხადოს ამის შესახებ დამკვეთს;

5.3. დაუშვებელია აქტუარის მიერ ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რომელიც მოტივირებულია მისი ან ნებისმიერი მესამე მხარის პირადი გამორჩენის მიზნით და რომელსაც შეუძლია ფინანსური ან სხვა სახის ზიანი მიაყენოს დამკვეთს;

6. კონფიდეციალურობა

6.1. აქტუარის ყოველდღიურ საქმიანობისას მის ხელთ ხვდება ბევრი ისეთი სახის ინფორმაცია, რომლის გახმაურებამაც შეიძლება აუნაზღაურებელი ზიანი მიაყენოს დამკვეთს;

6.2. აქტუარი ვალდებულია დაიცვას დამკვეთის შესახებ მის ხელთ არსებული ნებისმიერი ინფორმაციის კონფიდენციალურობა;

6.3. დაუშვებელია აქტუარის მიერ კონკრეტულ საქმიანობასთან დაკავშირებული რაიმე სახის ინფორმაციის გახმაურება ან ნებისმიერი მესამე მხარისთვის გადაცემა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამას მოითხოვს მოქმედი კანონმდებლობა;

6.4. აქტუარი ვალდებულია მაქსიმალურად დაიცვას დამკვეთის ინტერესები, კანონიერების ფარგლებში, იმ შემთხვევაშიც, როცა მოქმედი კანონმდებლობა და პროფესიული ღირსება მას ავალდებულებს გარკვეული სახის ინფორმაციის გახმაურებას დამკვეთის შესახებ;

6.5. დაუშვებელია აქტუარის მიერ დამკვეთის საქმიანობის ამსახველი ინფორმაციის გახმაურება იმ შემთხვაში, როცა იგი კონსულტაციას გადის კოლეგებთან კონკრეტული სამუშაოს შესრულებისას;

7. საქმიანობის შედეგებზე პასუხისმგებლობა

7.1. კონკრეტული დაკვეთის შესრულებისას, აქტუარი ვალდებულია ბოლომდე გაიაზროს ის შედეგები, რომლებიც შეიძლება მოჰყვეს მის მიერ გაცემულ რეკომენდაციებსა და მის მიერ მომზადებული მასალების რეალობაში დანერგვას;

7.2. აქტუარი ვალდებულია დამკვეთს ნათლად და ღიად აცნობოს იმ შესაძლო შედეგების შესახებ, რომლებიც შესაძლოა დადგეს და მიაყენოს ფინანსური ან სხვა სახის ზიანი დამკვეთის ბიზნეს საქმიანობას;

7.3. აქტუარი ვალდებულია უარი განაცხადოს ისეთი დაკვეთის შესრულებისგან, რომლის შედეგებმაც შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს დამკვეთის საქმიანობაზე, თუკი მისთვის ასეთი საშიშროება ცნობილია;

8. ურთიერთ-თანამშრომლობა (კოლეგიალურობა)

8.1. პროფესიული საქმიანობის განხორციელების პროცესში აქტუარი ვალდებულია შესაძლებლობის ფარგლებში, აღმოუჩინოს დახმარება კოლეგებს;

8.2. აქტუარი ვალდებულია მიიღოს მონაწილეობა ზოგადად აქტუარის პროფესიის პოპულარიზაციასა და განვითარებაში საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში;

9. კანონმდებლობასთან შესაბამისობა

9.1. პროფესიული საქმიანობისას აქტუარი ვალდებულია ზედმიწევნით დაიცვას მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნები;

9.2. კონკრეტული სამუშაოს შესრულებისას აქტუარი ვალდებულია განუცხადოს დამკვეთს ისეთი ფაქტების შესახებ, რომლებიც არ ჯდება კანონმდებლობის ფარგლებში, ან რომლებმაც შედეგად შეიძლება გამოიწვიონ კანონსაწინააღმდეგო ქმედება;

9.3. აქტუარი ვალდებულია უარი განაცხადოს შემოთავაზებული დაკვეთის შესრულებაზე, თუ მისთვის ცნობილი გახდა, რომ შესასრულებელი სამუშაო მოიცავს რაიმე სახის კანონსაწინააღმდეგო ქმედებებს, ან სცილდება მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებს;

10. პრინციპების დაცვაზე პასუხისმგებლობა

10.1. ყველა აქტუარი, რომელიც ეწევა პროფესიულ საქმიანობას ვალდებულია დაიცვას წინამდებარე კოდექსში განსაზღვრული პრინციპები, წინააღმდეგ შეთხვევაში მყარი არგუმენტებით დაასაბუთოს საკუთარი მოქმედების მიზანშეწონილობა;

10.2. აქტუარის მიერ ზემოთ აღნიშნული პრინციპების დარღვევის შემთხვევაში, აფაა უფლებას იტოვებს მოახდინოს რეაგირება და მიმართოს შესაბამის ზომებს, აქტუარის აკრედიტაციის გაუქმების ჩათვლით;

10.3. აქტუარი ვალდებულია უმოკლეს ვადაში წერილობით უპასუხოს აფაას მიერ ნდობით აღჭურვილი პირების ნებისმიერ შეკითხვას ან მიაწოდოს მათ მოთხოვნილი ინფორმაცია, თუ არსებობს ეჭვი მის მიერ ეთიკის პრინციპების დარღვევის შესახებ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ამით უხეშად ირღვევა დამკვეთის ინტერესები ან მოქმედი კანონმდებლობა;

10.4. აქტუარი ვალდებულია ხელი შუწყოს ყველა იმ შემთხვევის ობიექტურ განხილვას, რომელიც დაკავშირებულია მის ან მისი კოლეგის მიერ წინამდებარე კოდექსით აღიარებული ეთიკის ნორმების დარღვევასთან;

10.5. აქტუარის მიერ კონკრეტული პრინციპის დარღვევის საკითხს განიხილავს აფაას ეთიკის კომიტეტი, რომელიც შესაბამის დასკვნას აწვდის აფაას აღმასრულებელ ორგანოს შემდგომი გადაწყვეტილების მიღების მიზნით;